

ერთი არალოკალური საკონტაქტო ამოცანის შესახებ პარაბოლური ტიპის
ერთგანზომილებიანი განტოლებისათვის

თინათინ დავითაშვილი

ელ-ფოსტა: tinatin.davitashvili@tsu.ge

რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი
ტექნოლოგიების კათედრა, ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის
უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი

ნაშრომში განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა არალოკალური საკონტაქტო პირობებით ერთგანზომილებიანი პარაბოლური ტიპის განტოლებისათვის. დამტკიცებულია დასმული ამოცანის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა. ასევე განხილულია და შესწავლილია იტერაციული პროცედურა, რომლის საშუალებით საწყისი არალოკალური ამოცანის ამოხსნა დაიყვანება კომპი-დირიხლეს კლასიკური ამოცანების მიმდევრობის ამოხსნაზე. ამ იტერაციული პროცესის საფუძველზე აღწერილია საწყისი ამოცანის რიცხვითი ამოხსნის ალგორითმი. ჩატარებულია გამოთვლები მოდელოზ ამოცანაზე.